**Erasmus+**

**სალექციო კურსი ტურიზმის მიმართულებით,**
**ჟირონის უნივერსიტეტში**

2021 წლის 8-12 ნოემბერს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორები, მანანა ვასაძე და ნანა ახალაია, Erasmus+ საერთაშორისო მობილობის პროექტის ფარგლებში, სწავლების მიზნით იმყოფებოდნენ ესპანეთის ჟირონის უნივერსიტეტში (University of Girona - UdG).

ქართველმა პროფესორებმა საინტერესო პრეზენტაცია წარადგინეს სტუ-სა და ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საქმიანობის შესახებ.

მათ მონაწილეობა მიიღეს ნორვეგიელი პროფესორის ოსტენ ჯენსენის (University of Stavanger) სემინარში „აკადემიური კვლევა"; საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს კოლეგებთან უცხოეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლებიდან (მაგ., პროფ. დალენ ჯეი ტიმოთი არიზონას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან).

ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებმა წაიკითხეს ლექციები თემაზე:

- Georgia - Safe Tourist Destination
- Global Pandemic challenges in the tourism Sector of Georgia

- Georgian Traditional Approach to Tourism Social Sustainability
- Tourism (Agri, Cultural, MICE, Mountain, Gastronomy) in Georgia

ლექციები კეთიგანწყობილ გარემოში ჩატარდა. ლექციებს ესწრებოდნენ ჟორინის უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის დოქტორანტურის სტუდენტები (მათ შორის, სტუ-ს დოქტორანტი თ. მამულაიძე) და პროფესორ-მასწავლებლები.

მონიტორინგის მიზნით ქართველმა პროფესორებმა მოინახულეს სტუ-ს დოქტორანტი თამთა მამულაიძე, რომელიც Erasmus+ მობილობით იმყოფებოდა ჟირონას უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტზე.

მობილობის ფარგლებში, ტურიზმის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და დეკანატის წარმომადგენლებთან გამართულ სამუშაო შეხვედრებზე განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია სტუ-ს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტზე ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის იდეამ. იმედი გამოითქვა, რომ ურთიერთთანამშრომლობა ორ უნივერსიტეტს შორის უფრო აქტიურ ფაზაში გადაიზრდება.

მობილობის პროგრამა ითვალისწინებდა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობას, რომელიც ყოველ შაბათ-კვირას იმართება ჟირონაში.